№ 108. 23 მაისი, პარასკევი. 1866—1880 23 მაისი, პარასკევი № 108

რედაქცია
ერივანსკის მოედანზე, სუმბათაშვილის თავში მარცხნივ თ. ლორთქიფანიძის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქალაქში მოვიდა ამბავი, რომ მისი იმპერატორებითი უდიდესობა ხელმწიფე იმპერატრიცა გარდაცვლილა.

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

ლონდონი, 21 მაისს. ინგლისის გაზეთებში დაბეჭდილია თეირანიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომ სპარსეთმა უარი განაცხადა თეკეს საქმეებში მონაწილეობის მიღებაზედ; არ მაიღო ოურქმენებისაგან მერვი და არც იმათ მორჩილებაზედ დათანხმდა.

## კალოის მუშაობის ზედამხედველნი

ტფილისი, 22 მაისს.

ყოველ კეთილ და სასარგებლო საქმეზედ მოგყვება ხალხი, ყოველ შენს სიტყვასა და დარიგებას მოისმენს და შეასრულებს, თუ კი ჰხედავს, რომ ეს საქმე მართლა კეთილი და სასარგებლოა, თუ კი ტკბილად, გონიერად ელაპარაკები, აუხსნი და რიგიანად დარიგებას აძლევ.

პირ-იქით, რაც უნდა სასარგებლო და ქველი საქმე იყოს, თუ შენ არ იცი ხალხთან ლაპარაკი, თუ სასტიკად და ხეპრულად მოექცევი იმას არ წამოგვყება, არ დაგიჯერებს. დიდიხანია ნათქვამია, რომ ყოველი უმეცარი მდაბიო ხალხი ყმაწვილს ემსგავსებაო: ისე გონებით და ანგარიშით არ მოქმედებს ის, როგორც გულით, გრძნობით, მაგალითითაო.

ეს ჭეშმარიტება ზოგიერთებს ავიწყდებათ, საუბედუროთ, ამ ჟამად, ამ ხალხის გაჭირვების დროს.

გუშინდელ „დროებაში“ თქვენ წაიკითხავდით იერის ხეობიდამ (სოფ. გიორგი-წმინდიდამ) მიღებულ კორრესპონდენციას, რომელშიაც აწერილია—თუ კალიის სახოცავად ხალხის გამომყვანნი ჩაფრები, ყაზახი . , . , . და სალდათები როგორ ეპყრობიან ხალხს. მათრახით, ცემა-ტყებით, ლანძღვა-გინებით ერეკებიან ხალხსაო, თუ მამაკაცები არ დახვდათ შინ, დედა კაცებს უარდებიან სახლში და შეურაცყოფას აყენებენო; ყმარწვილები წივილ-კივილით მირბიან, როცა ამათ დაინახვენო; ზოგან იარაღიც იხმარესო. დღევანდელს ნომერში წაიკითხავთ, რომ ქართლისაკენ სამი კაცი, ჩაფრებისაგან ნაცემი, ურმით წაუყვანიათ შინ და სხვ. და სხვ. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ საგარეჯოში ამ ყაზახებმა. . . ერთი გლეხი მოკლეს ცემითაო და მეორეც ისე გახადეს, რომ შეიძლება ამ მოკლე ხანში მოკვდესო.

ჩვენ გვჯერა თითქმის ყველა ეს; გვჯერა იმიტომ რომ ამგვარი საჩივარი პირველად არ გვესმის და პირველად არ ყოფილა ადგილობრივ გაზეთებში გამოცხადებული,—მით უფრო გვაკვირვებს, რომ ჩვენს ადმინისტრაციას ამდენი ხანი ვერ მოუსპია ულმერთო და შეუბრალებელი მოპყრობა ხალხისადმი თვის დაყენებულ კაცებისაგან.

რამდენადაც გვესმის და თვით ჩვენს ოფიციალურს გაზეთში იწერებიან, ხალხი სტოვებს თავის მუშაობას, თითქმის ულუკმა-პუროთ უშვებს სახლში თავის ცოლ-შვილსა, დიდის სიამოვნებით, ხმა-ამოუღებლივ გამოდის კალიასთან საბძოლველად და ებრძვის, მუშაობს კიდეც რამდენიც შეუძლიან.

იქნება ათასში ერთი არ გამოვიდეს სამუშაოთ, იქნება ათასში ერთმა მოინდომოს თავიდამ აცილება კალიაზე გამოსვლისა იმ დროსა, როდესაც რომელიმე მძიმე და დაუყოვნებელი საქმე უფუჭდება შინ ან ყანაში,—ნუ თუ ამის-თვის მათრახის ხმარება, ცემა-ტყეპა და საზოგადოთ ისეთი შეუბრალებელი მოპყრობა არის საჭირო, როგორც ზევით აგიწერეთ? ნუ თუ სხვა არავითარი საშვალება არ მოეძებნება იმ დალოცვილ ჩაფრებსა, ყაზახებსა და სოფლის მოხელეებს, თუ ცემით სიკვდილამდინ არ მიიყვანეს? ნუ თუ არ შეიძლება რომ, ერთის მოცდენილის დღის მაგიერ, შემდეგ ორი დღე ამუშაონ, ან ჯარიმა გარდაახდევინონ?

რაღა ამგვარები ეჭირება ახლა უიმისოთაც შეწუხებულ და ყოველის მხრით, უბედურობის მომლოდინე სოფლის ხალხს! აქაო უმაღლესის მთავრობის ბრძანება არისო, რომ გამოვიდესო, აქაო საწყალი გლეხი არის, ვერ გაბედავს ჩივილსა,—და ტყავი უნდა გააძრონ, სული უნდა ამოახდინონ!

ამას გარდა ჩვენ სხვა გვარი საჩივარიც გვესმის იმ პირებზე, რომელთაც კალიის მუშაობის ზედამხედველობა აქვთ მინდობილი:

ნამდვილად ამბობენ, რომ მამასახლისებსა და ჩაფრებს ზოგიერთის სოფლებიდამ დანიშნულის რიცხვის მაგიერ ნაკლები გამოჰყავთ თურმე სამუშაოდ და ვისაც გაათავისუფლებენ მუშაობისაგან, ფულს ახდევინებენ და ჯიბეში იდებენ. ვსთქვათ, რომელიმე სოფელზე 100 მუშა არის გაწერილი; ასის მაგიერ 50 გამოჰყავთ; დანარჩენ 50-ს თითოეულს დღეში აბაზს-ექვს შაურს ახდევინებენ და ანთავისუფლებენ მუშაობიდამ.

ვინც ჩვენებური პრისტავებისა, ჩაფრებისა და მამასახლისების ამბავი იცის, ადვილად დაიჯერებს ამას.

ერთის სიტყვით, შენიშნულია, რომ ყოველთვის, როდესაც ადმინისტრაციის წვრიმალ მოხელეებს რაიმე დამოკიდებულება და საქმე აქვთ ხალხთან, ეს მოხელეები ათას გვარ ხრიკებს იგონებენ, ათას-გვარ ოინებს იგონებენ, რომ თვითონ სარგებლობა ნახონ; საქმეს და ხალხ. ვნება ეძლევა ამით თუ არა, ამას ისინის რასაკვირველია, არ დაგიდევენ. მოიგონეთ, რამდენი ბოროტ-მოქმედება

## ფელეტონი

—

ხმა პროვინციიდამ

(წერილი მეოთხე)

ქალაქი უთაოდ.—ხიდი და ბაზრობი.—კაცი, რომელსაც ქალაქის თაობა უნდა.—უფ. ამიროვი.—ქალაქის სამმართველოს დაცარიელება და მოქმედებანი.—ხრიკები.

მომიტევეთ, ბატონებო, რომ წერილი დაგიგვიანეთ; რა ვქნა, ისეთ გასაოცარ პროვინციაში ვსცხოვრობ, რომ სწორედ მომიტევებთ: ყოველ დღე მოგწერდით წერილს, თითქმის ყოველ საათს, იმოდენა მასალაა, იმოდენა რამეები ხდება. მაგრამ არ იცი—რომელს წაავლო ხელი, უწინ რომელი გამოაშკარაო ბეჭედით.

მერე მე საშინელი იღბლის კაცი ვარ: ერთიც ვნახოთ მამდის „ჩიტების ფოჩტით“ ყოველ დღე დიდრონ-დიდრონი პაკეტები. გახსნი და რა გინდა, სულო და გულო, შიგ არა სწერია.

ასლი საფელეტონისტო ბედი დამყოლია, რაღა! აი ეხლა ჩემ საწერ სტოლზე ხროვა აყენია წერილებისა, სადაც სხვა-და-სხვა ფაქტებია აწერილი ჩვენი პროვინციის მხეცებისა.

აბა, ჰა! ჩემო „კუდ ქიცინავ და შავ ყურავ, ჩემო ძაღლო, ჩემო მურა“, პოეტისა არ იყოს, გამოუძახოთ მოედანზე ჩვენი პროვინციის მოქმედ პირებსა.

ქალაქი ბორი მას აქეთ, რაც ქალაქის თავს ბატ. ელიმირზოვს „საქმით შეურაცხყოფა“ მიაყენეს, დარჩა უთაოდ, რადგანაც ის შემოგვწყრა. თუმცა არცა რა დიდი შვილი და ქალაქის ყურის-მგდებელი ელიმირზოვი გახლავთ, მაგრამ მაინც-და-მაინც იმ პირებს, რომელთ ხელში დარჩა ქალაქი მის დროებით წასვლის დროს, გაშორებით სჯობია. სხვა არა იყოს-რა რიგიანად მაინც დასწერს, გააგებინებს რასმეს კაცსა; ჯანი გავარდეს ამ ქაღალდზე ხომ იცოდა კეთება საქმისა; ამათ კი არც ქაღალდზე იციან და არც-რა საქმით გაეგებათ...

ელიმირზოვის ადგილას, მინამ ის მოვა, დარჩა ისეთი კაცი, რომელსაც ქალაქის თავობა თბილი პურივით შიან, მაგრამ არავითარიმე კეთილი არ მიუძღვის არც წარსულში, არც აწმდგომ დროებაში საზოგადოებისადმი. თუ ბოროტი არ დაუთესნია, კეთილი არავის უნახავს. ეს პირი გახლავთ ამიროვი. რომ ეს ბატონი ყოვლად უვარგისია საზოგადო საქმეში . . . . . . . ამას მე ცხადად დაგიმტკიცებთ იმ შედეგებიდამ, რაიც ჰქონდა მაგის მოქმედებას ამ ორ-სამ თვეში.

ბორის ხიდს დამპალ კბილსავით პამპალი გაუდიოდა; უმაღლესმა მთავრობამ აცნობა, მიელოთ ზომიერება, რომ ქალაქს მისვლა-მოსვლა არ დახშობოდა, რადგანაც იცოდა, რომ ხიდი ვერ შესძლებდა.—ამიროვმა მოახდინა ხმოსანების ყრილობა 29 მარტსა და გადასწყვიტეს ქალაქის საბჭოში, რომ პარომი გაკეთებულიყო. გამოჩნდა კაცი, რომელიც ორი კვირის განმავლობაში შეჰპირდა პარომის დადგმას ას ორმოც-და-ათ თუმნათ.

რა გგონიათ? რა ჰქნა ქალაქის თავის მოადგილემ? მიანებეს თავი; წყალი დღითი-დღე მატულობდა; დაჰკრა 21-ს აპრილს წვიმამ და 22-ს ხიდმა თქვენი ჭირი წაიღო! და 23 აპრილს მოაწერინეს ჟურნალზე იმ გარდაწყვეტილობაზე, რომელიც მოახდინეს 29 მარტს პარომის გამართვის შესახებ! არა, როგორ მოგწონთ, ბატონებო!! ჭკვიანურია, არა!.. 29 მარტის გარდაწყვეტილებაზე მაშინ აწერენ ხელს, როცა ხიდი წაიღო!? ჭკვიანი, ხალხის და ქალაქის მოყვარული, საზოგადოების ინტერესების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოჩნდა ომიანობის დროს, როცა მტრის წინააღმდეგ ხალხი გამოჰყავდათ; მოიგონეთ, რამდენი ბოროტ-მოქმედება ხდება ხოლმე, როდესაც სახელმწიფო ხარჯს ახდევინებენ ხალხსა და სხვა.

ნუ თუ ადმინისტრაციას არავითარი საშუალება არა აქვს, რომ ყოველთვის ამ გვარს შემთხვევაში ხალხი არ იჩაგრებოდეს იმის წვრიმალ აგენტებისაგან, რომ ეს აგენტები მხეცურად ხალხის მოპყრობას, ქრთამს, ცემა-ტყეპას და ამ გვარ უკანონო მოქმედებას გარდააჩვიოს?

ყურადღება მივაქცევია ჩვენის უმაღლესის ადმინისტრაციის ამ ბოროტ-მოქმედებებზე იმ იმედით, რომ ის თავის საშუალებას, ღონის-ძიებასა და ჯეროვან სახსარს იხმარს უიმისოთაც შეწუხებულის ხალხის ამ უკანონო შეწუხებისაგან განთავისუფლებისათვის...

## ახალი ამბები

—

საყასბოების ქალაქის წრეში გადმოტანის გარდა, ქალაქის რჩევის უკანასკნელმა სხდომამ გარდაწყვიტა კიდევ მადათოვის კუნძულის საქმე: რჩევამ მიიღო გამგეობის აზრი ხმოსანის აბ. პ. ბებუთოვის წინადადების თანახმად, ე. ი.

1) მადათოვის კუნძულის მეპატრონეებს წინადადება მიეცესთ, რომ ორის წლის განმავალობაში გაამაგრონ ერთის მხრით ამ კუნძულის ნაპირები;

2) როდესაც ნაპირებს გაამაგრებენ, მაშინ მიეცესთ იმათ „დანნები“ და გარდახდესთ საქენობით ადგილის ფული;

3) თუ დანიშნულ ვადამდინ მადათოვის კუნძულის პატრონები არ გაამაგრებენ ხსენებულ ნაპირებს, ამ შემთხვევაში ჩამოერთმევათ ეს ადგილები, თვითონ ქალაქმა მიიღოს თავის მფლობელობაში და გააკეთოს კედელი;

4) ორის წლის ვადა იწყება იმ დროიდამ, როდესაც ეს განკარგულება მესამეჯერ იქნება გაზეთებში დაბეჭდილი და მადათოვის კუნძულის პატრონებს მოუვათ უწყება, და

5) ამ საგნის დაწვრილებით განხილვა მინდობილი ექნება ცალკე კომმისსიებს.

* * *

ამ მაისის 20-დამ დაწყებული 1 ივნისამდინ თფილისის ბაზრებში და დუქნებში შემდეგი მაზანდა არის ხორაგეულისა:

პური, 1 ხარისხის, გამომცხვარი, 1 გირვანქა—6 კაპ., მეორე ხარისხის—5 კაპ., თორნის პური—7 კაპ., ჯვარის-მამის—8 კაპ., ლავაში, პირვ. ხარისხ.—9 კაპ., მეორე—6 კაპ..

ხორცი, ძროხის, პირვ. ხარისხის, გირვანქა—10 კაპ., მეორესი—8 კაპ., სუკი—15 კაპ.; ცხვრის ხორცი—გირვ. 10 კაპ.

* * *

დღევანდელ „კავკაზში“ ორი ახირებული ამბავია გამოცხადებული თფ. პოლიციისაგან:

20 მაისს მუშტაიდს იქითა მინდვრებიდამ დიდ-ძალი კალია ნემეცების კალონიის ბაღებში გადასულა და შეუჭამია ამ ბაღების ხეების ფოთლები და წვანილეული; შემდეგ ბაღებიდამ მტკვარში ჩაცვიდნენ და ქვემოთ მიცურავენო!

კალია რომ წყლით მოგზაურობდეს—ეს პირველი გაგონებაა.

მეორე ამბავიც ეს არის, რომ მესამე უჩასტკის პრისტავის სადგომზე ვიღაცას ერთი თავი შაქარი მიუტანია ჩუმად და დაუტოვებია. პოლიციმეისტერს ეს შაქარი აუღია და ბატ. თფ. გუბერნატორის მეუღლისათვის წარუდგენია ღარიბების მისაცემად...

* * *

ჩვენ მივიღეთ ქართლის ახალქალაქიდამ შემდეგი წერილი:

„ჩვენი გლეხ-კაცობა რაც შეუძლიან ხოცავს კალიას. მაგრამ კალიის მუშის წინამძღოლი ისე აშინებს მუშას მათრახის ცემით, რომ ბევრი იპარება, შიშით ეღარ მიდის. ამბობენ, ჯერ სამი კაცი წაუღიათ ურმით ზედამხედველებისაგან გალახული. ამ შიმშილთან რაღა ეს ცემა უნდა საწყალ გლეხ-კაცებს!“

* * *

გუშინწინ, 21-ს დილით, თამამშოვის ქარვასლასთან ერთი ვიღაც კაცი მომკვდარიყო ღამით და თითქმის სულ ტიტველი ეგდო აქვე კიბესთან. ხალხი ამბობდა, რომ მათხოვარი იყვო და შეიძლება შიმშილით მოკვდაო. მკვდარი პოლიციამ წაიღო.

## ანგარიში

გამგე კომიტეტისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა დასხმარებისათვის

1 მაისიდამ 1879 წ. 1 მაისამდი 1880 წ.

(დასასრული *)

ტანისამოსი იყო უბრალო, საკადრისი და მოსახდენი წლის ნაწილების მიხედვით, თითო პანსიონერს ექვს-ექვსი რწყვილი საცვალი ჰქონდა. საწოლ ოთახების და, საზოგადოდ, მთელი შკოლის სადგომის ჰაერის სიწმინდეს, ოთახების სისპეტაკეს და სიფაქიზეს განსაკუთრებით ყურადღება ჰქონდა მიქცეული კომიტეტისაგან. რაც უნდა ძვირად დამჯდარიყო, მაინც სრულდებოდა შკოლაში მოსიარულე ექიმის რჩევა სუსტი ყმაწვილების გასაჯანმრთელებლად. ამიტომაც პანსიონერთა ჯანმრთელობა კარგი იყო; მხოლოდ უბრალო ციებით თუ ხდებოდნენ ყმაწვილნი ავად, და ისიც ერთობ იშვიათად. ამის გამო მთელი წლის განმავლობაში წამალი მხოლოდ 61 მან. და 61 კ. არის ნაყიდი. იმ სრულიად უნაკლულო კეთილ-სვინდისიანობის წყალობით, რომლითაც ინსპექტორები უვლიდნენ შკოლის ოჯახობას, თითო პანსიონერზე გადიოდა 264 მან. ხარჯი. საკუთრად სწავლება თითოეულ 81 ყმაწვილთაგანის კომიტეტს უჯდება 50 მან. წელიწადში. ამ რიგად შენახვა და სწავლება თითოეული პანსიონერისა კომიტეტს უღირდა 314 მან. წელიწადში; ასე რომ თავის ხარჯზე მყოფთ პანსიონერებზე, რომელთაც 200 მან. შემოჰქონდათ წელიწადში, კომიტეტი თითოეულ მათგანზე თავისას უმატებდა 114 მანეთს, და სანახევროდ პანსიონერებზე, რომლებსაც 100 მ. შემოაქვთ წ. თითოზე—214 მან. წლიურ სასწავლო გადასახადს (30 მანეთს), რომელსაც შაგირდები იხდიდნენ კომიტეტი ადებდა 20 მანეთს. ამ ნაირად კომიტეტი მათთვისაც ქველმოქმედი იყო, რომელთაც შემოჰქონდათ დაწესებული გადასახადი შენახვისა და სწავლისათვის.

*) „დროება“ № 107.

სწავლის პროგრამმა შემდეგია: შკოლის კურსი შესდგება პირველ-დაწყებითი განათლების ყველა საგნებიდამ, და შეიცავს მთელს პირველ-დაწყებითს კურსსა: სალმრთო ისტორიას, ქართულ ენას, რუსულ ენას, არითმეტიკას, პირველ-დაწყებით გეოგრაფიას, თვალთ-საჩინო სწავლას, წერას, გალობას, ხატვას და ჰიმნასტიკას. პირველ 3 წლის განმავალობაში სწავლა ქართულ ენაზე მიდის, და მასთანვე რუსულსაც იმდენად აქცევენ ყურადღებას. რომ მეოთხე წელიწადში ყმაწვილებს შეეძლოსთ მისი შეთვისება. მეოთხე წელს კი ყველა საგნებს, გეოგრაფიის გარდა, რუსულს ენაზე იმეორებენ. რუსულს ენას შაგირდებსა მეორე წლიდამ ასწავლიან.

სწავლის კურსი შკოლაში ოთხი წლისაა. ეს ხანი დიდი არ არის თუ თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ა) რუსულ სასწავლებლების 1 კლასში შესასვლელად შაგირდი ვრცელს მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს, განსაკუთრებით კლას-

---

დამცველი კაცი იზამს ამისთანა საქმეს? ბიჭო, კაცი ჩნდება, რომელიც ორი კვირის განმავლობაში პარომს გიდგამს, მოჰკიდე ხელი და! მორჩი საზოგადოების ვალს და ცხვირში ძმარის წადინებას.

ამისთანა უვარგისი, საქმის გაუგებარი კაცი უნდათ ზოგიერთ გორელებს თავის-თავად. ბარემ ჯერ ცეცხლი მისცენ, გადასწვან მთელი ქალაქი და მერე ამას ჩაუგდონ ხელში: ცარიელს უფრო მოუვლის, ასლი ამის საქმეა.

სწორედ იმ ხიდის ბურჯების პირდაპირ, რომელიც წაიღო, დასავლეთიდგან არის ძველი ქვითკირის ხიდის დანგრეული ბურჯები. ამ დანგრეულ ბურჯებს ხვდებოდა წყალი, ბრუნდებოდა უკან და შეგროვებული საშინელის ძალით ეცემოდა ხოლმე ხიდის ბურჯებს, რომლებსაც ამის გამო დიდი ძალა ადგათ. ქალაქიდგან ბატ. გუბერნატორისგან, როგორც გავიგე, გამოგზავნილი იყო კაცი—სპეციალისტი, რომელმაც ის ბურჯის ნანგრევი გაშინჯა და გამოიყვანა დასკვნა, რომ ეს ხიდისთვის დიდი მავნებელი იქნებაო. ამის გამო გუბერნატორმა მოსწერა მაზრის უფროსს, მოეხდინა განკარგულება იმ ნანგრევების ანგრევისა. მაზრის უფროსმა მეორე დღესვე, შემდეგ გუბერნატორის მოწერილობისა, მისწერა ქალაქის სამმართველოს მიეღო რამე ღონე ამ ბურჯის წყლიდგან ამოყრისა. ქალაქის სამმართველოს ამ ბურჯის ამოყრა დაუჯდებოდა სულ ხუთი თუმანი და იქნება ხიდი გადარჩენილიყო.

მიიღო რამე ზომიერება ქალაქის თავის მაგიერმა, ბატ. ამიროვმა, ამ ბურჯის ამოყრის შესახებ? არა. რატომ? იმიტომ რომ იფიქრა: იქნება გადარჩეს, თავი რაზე შევიწუხო და ამოვაყრევინოვო! იმდენი დაფიქრება როგორ არ უნდა ჰქონდეს კაცს, რომ შეიტყოს, წელს ამოდენა თოვლებს ხიდი ვერ გაუძლებდა. ახლა ხომ გაიგო, რომ გუბერნატორის მოწერილობა იმ ძველი ბურჯის ანგრევის შესახებ იყო სამართლიანი: სწორედ ის ბურჯები წაიღო ხიდისა, სადაც სცემდა წყალი, „შეგროვებული და შეზვირთებული ძველი ბურჯებისაგან. ამას ძნელი მიხვედრა უნდოდა?

აი ამისთანა კაცს უნდა თურმე ქალაქის თაობა!! აი ამისთანა . . . . კაცი უნდათ ზოგიერთ გორელებს!! აი, აი, აი! სირცხვილით უნდა სწითლდებოდეთ, სირცხვილით!..

ხიდი წაიღო; ქალაქის პატრონებს დასცხათ; პარომი უნდა გამართონ. მოვა ისევ ის კაცი, რომელიც ხიდის წაღებამდი სდგამდა პარომს, ბატ. ზ. მირიანაშვილი. მაშინ სთხოვა ას ორმოც-და-ათი თუმანი, ეხლა ასსამოცდა-ათი. არ მისცემ, არ იქნება მსვლელობა, ქალაქი ყველაფერს მოკლებულია. რას იზამს ქალაქის პატრონი, უწერს კონტრაკტს; ადებს უწინდელზე ოც თუმანს მეტს.

პარომი გაიხსნა 10 მაისს. დღეში სულ უკანასკნელი სამ თუმანს აძლევს პარომი. თვრამეტი დღე შეკრული მისვლა-მოსვლა, ი. ი. თვრამეტი დღის შესავალი დააკლდა ქალაქს, დააკლდა ორმოც-და-თორმეტ თუმნამდინ. . . . . . . .

აი ამისთანა კაცს უნდა ქალაქის თაობა! აი ამისთანა კაცს ნდომულობენ ზოგიერთი გორელები ქალაქის თავად!!

გაიმართა პარომი. ახლა ჩაბარებაზე გაჭირვა საქმე; ხან ჩაიბარეს, ხან უკან დაუბრუნეს; ამასობაში შეჩერდა მისვლა-მოსვლა, რომლის გამო მოუვიდა სამმართველოს სასტიკი შინაარსის ტელეგრამმა გუბერნატორისაგან რომ დაუყონებლივ გაიმართოს მსვლელობა. ჩაიბარეს როგორც იყო. საკვირველი ეს იყო—მაგრამ მაგათგან გასაკვირველი არა არის-რა,—რომ

სიკურ გიმნაზიებში, რომლების 1 კლასში შემსვლელმა უნდა იცოდეს რუსულად მთელი პირველ-დაწყებითი კურსი; ბ) ძრიელ ძნელია რუსული ენის დასწავლა ქართველ ყმაწვილებისათვის, რომელთ უმრავლესობას შკოლაში პირველად ესმის რუსული ენის ხმები; გ) იმ დედა-აზრს, რომ ის მოსამზადებელის სწავლის გადაცემის რიგია ნაყოფის მომტანი, რომელიც თავის ვალს ბრმად და ფორმალურ-აჩქარებით კი არ ასრულებს, არამედ სცდილობს მტკიცე საფუძველი დაუდოს ყმაწვილის გონების და გულის-ყურის ყოველ მხრივ განვითარებას პირველ-დაწყებითი განათლების გონიერად გადაცემითა.

საზოგადოდ ჩვენი შკოლის პროგრამმა ისეა მომართული, რომ ყმაწვილები ისე ჰომზადდნენ, რომ მათ თამამათ შეეძლოთ ცილება გაუწიონ მოქალაქეთა შვილებს გიმნაზიის მთელი კურსის განვლის დროს.

სწავლის მსვლელობას რამდენიმე დამაბრკოლებელი მიზეზი დაუხვდა წინ. Თითო კლასი კომიტეტის აზრით ერთ განყოფილებიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რადგანც შაგირდები სხვა-და-სხვა სწავლისანი დარჩნენ აუცილებელ საჭიროებად დარჩა პირველს ორი კლასისათვის თითო-თითო განყოფილება მომატებოდა. Ამ ნაირად შკოლაში ხუთი განყოფილება არის.

Გარდა ამისა შაგირდების გვიან შემოსვლა შკოლაში აბრკოლებდა სწავლის მსვლელობას. Ამიერ კომიტეტი აღარ მიიღებს მათ, ვინც დროზე არ გამოცხადდება.

Მაგრამ უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი ის იყო, რომ ძნელი დარჩა მასწავლებლების სათანადო რიცხვის შოვნა, რომელნიც ნამდვილ პედაგოგიურად ყოფილიყვნენ მომზადებული და აღზრდის და სწავლის ძნელ საქმისათვის განსაკუთრებითი მოწოდება ჰქონოდათ. Მაგრამ ამ მიზეზთა მიუხედველად, სწავლა საზოგადოდ რიგიანად, შეუწყვეტლად და წარმატებით მიდიოდა. Მხოლოდ შუათანა კლასში შეფერხდა სწავლის მსვლელობა, რადგანც მასწავლებელი დათხოვნილი იქნა და იმ დროს კი ჩვეულებრივ ძნელი იყო ხეირიანად მომზადებულ ოსტატის შოვნა.

Მაგრამ წვრილმან შემთხვევებში კი აღმზრდელობით მხარე ვერ მიდიოდა ისე, როგორც კომიტეტს ჰსურდა: აკლდა აღმზრდელნი და შკოლის სადგომი ვერ იყო დასატევი. Რაც უფრო პატარაა ყმაწვილი პანსიონში, მით უფრო ძნელია მისი აღზრდა: მუდმივი თვალ-ყურის ჭერა, მასთან ყოფნა, დროს გატარების და თამაშობის დროს ხელ-მძღვანელობა საჭიროა მათთვის. Ყველა ამების ასრულება მხოლოდ განსაკუთრებით აღმზდელს მოეთხოვება, და ჩვენს შკოლაში ამ მოვალეობასაც მასწავლებელნი ასრულებდნენ, რომელთაც კვირაში 27 გაკვეთილი ჰქონდათ. Სახლის სიმცირე და დროს-გასართობი დარბაზის უქონლობა უშლიდა ხეირიან ჰიმნასტიკის გაკეთებას და ჭკუის გამხსნელ საყმაწვილო თამაშობის გამართვას. Სასურველია, რომ ყველა ეს ნაკლულევანებანი მომავალში აცილებულ იქმნენ.

Ამ საანგარიშო წლიდამ დარჩენილი დიდ-ძალი ფული და უმტყუნარი იმედი, რომ Ტფილ. სათავად-აზნაურო ბანკის გარდა შკოლას შეეწევა საკუთარის ჯიბიდამ თვით ქართველი თავად-აზნაურობა, მომავალს კომიტეტს შეაძლებინებს შკოლის ყოველ მხრივ წარმატებას, და საზოგადოდ იმ ყოფამდის მიყვანას, რა ყოფაც უნდა შეესაბამებოდეს ქართველ საზოგადოების სწავლისა და განათლების მოთხოვნილებას.

თავსმჯდომ. კომიტ. კოს. მამაცოვი.

წევრნი { თ. დავ. ავალოვი. / იაკ. გოგებაშვილი. / გასტ. თულაშვილ. / კოსტ. ნაცვალოვი.

# უცხოეთი

—

**ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.** Პარიჟში ამ დღეებში სენატის თავმჯდომარედ მარტელის მაგიერ Ლეონ სე ამოურჩევიათ 147 ხმით. Სხვა კანდიდატებს მიუღიათ: Ლეროიეს—4 ხმა, Პელტანს—2, სიმონს—1 და Ბავარდისს—1.

Იმ თექვსმეტ კომმუნელ კაცებში, რომელთაც Ივლისის ძეგლზე ყვავილის გვირგვინების ჩამოკიდება უნდოდათ და პოლიციისაგან დაჭერილ იქმნენ, თურმე შვიდი უცხო ქვეყნელები ერივნენ. Ესენი ყველანი განიძევებიან საფრანგეთიდამ.

—

„ჰავასის სააგენტოს" აცნობებენ, რომ Ოსმალეთის ჯარი, რომელიც გაგზივნილი იქმნა Ალბანიაში, ალბანიელებთან შეერთებულა.

—

Საფრანგეთის უცხო საქმეთა მინისტრს ბრძანება გაუგზავნია Ათინაში მყოფს ელჩის Ტისსოსათვის, რომ იგი სტამბოლში გაემგზავროს და იქაური ელჩის ბ. Ფურნიეს ადგილი დაიჭიროს.

Ტისსო და Ინგლისის ელჩი ბ. Გოშენი ერთად უნდა მისულიყვნენ სტამბოლში.

—

Სტამბოლელი **სომხები** ცდილობენ დესპანების გაგზავნას Ინგლისის მმართებლობასთან, რომ მიაქცევინონ მას ყურადღება Ბერლინის ტრაქტატის 61 §-ზე, რომელიც პირ-და-პირ სომხეთს შეეხება. Რადგანც სომხების კათოლიკოს ნარზესი ამ დესპანობის გაგზავნის წინააღმდეგია; ამიტომაც ამ საქმეზე გადაწყვეტილობა **სომხების საგვარტომო საბჭომ** უნდა დაადგინოს.

—

„ჰავასის სააგენტოს" აცნობებენ, 23 მაისს, რომ ყველა სახელმწიფოების წარმომადგენელნი მხოლოდ Გოშენის სტამბოლში მისვლის შემდეგ წარუდგენენ Ოსმალეთსო საერთო ნოტას. Ამ ნოტის შინაარსს ყველა ელჩები განიხილვენ. Სხვათა შორის მასში მოთხოვნილნი იქნება: **სომხეთის**, **ჩერნოგორიის** და **საბერძნეთის** შესახებ ბერლინის ტრაქტატში მოქცეული მუხლთა ასრულება. Გარდა ამისა მოთხოვნილი იქნება, Ოსმალეთის მთავრობამ პირობა დასდოს, რომ საზღვრების შესასწორებლად დასანიშნავ კომმისიის წევრები შეუხებელნი იქმნებიან. Ამ პირობაზე ხონთქრის მთავრობამ წინად უარი სთქვა, და თუ ახლაც ასე მოიქცა, მაშინ მოწვეული იქნება დამატებითი კონფერენცია, რომელსაც მიენდობა საზღვრის (საბერძნეთის) გაყვანა. Ამაზე ყველა სახელმწიფონი თანახმაარიან.

—

Გაზეთს „*Standard*"-ს შეუტყვია, რომ Ალბანიელების კომიტეტს (სკუტარიაში მყოფს) წერილი გაუგზავნია ბ. Გლადსტონისათვის. Წერილი იტალიანურადაა დაწერილი; Ალბანიელნი სთხოვენ Გლადსტონს მისს „ძლიერს დახმარებას ამისთანა წმინდა საქმეში, როგორიც არის სამშობლოს განთავისუფლება უცხო ტომის ხალხის ბატონობისაგან."

—

Საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრს Ფერრის დაუწესებია, რომ ყველა შკოლებში ვალდებული იყოს გიმნასტიკის სწავლება.

—

Პრინცი Ნაპოლეონი ცდილობს, რომ კარდინალ Ბონოპარტეს შუამავლობით რომის Პაპს შეურიგდეს.

---

პარომი არ ჩაიბარეს და ფულს კი თითონართმევდნენ გამსვლელს-გამომსვლელს. Თუ არ იბარებ, ფულს რაღაზე იღებ, თუ ჩაიბარე და მიეცი გამკეთებელს ფული. Იქნება ხრიკი რამე გედოთ, ქალაქის პატრონებო, გულში?—Თუ იწუნებდით, რაღაზე ჩაიბარეთ? Გუბერნატორის ტელეგრამმამ შეგაშინათ განა? Იქნება ეს ტელეგრამმა რომ არ მოგსვლიყოთ, აქნობამდე გეჭოჭმანებინათ საქმე. Თქვენი ჭოჭმანის ბრალი არ იყო, რომ კინაღამ მეორე ბატარეია 41 არტილერიის ბრიგადისა დაიღუპა მთლათ მდ. Ლიახვში? Კიდევ კარგი, რომ შეემთხვა ქ. Ამილახვარი და დაიხსნა იმოდენა ხალხი, რომელმაც მხოლოდ ერთი მსხვერპლი შესწირა Ლიახვს!!

Ეგონება კაცს ქალაქს ჯიბრს უწევენო. Იქნება ასეც იყოს. . . . . როცა საზოგადო ინტერესსზე მიარდებოდა საქმე, მაშინ ეხლანდელი თავის მოადგილე თვალებზე ხელს იფარებდა. Როცა კი თავისსავე მგზავს კაცს შეეხებოდა, როცა თავისი გვერდის კაცის საქმე უნდა გაესწორებინა, რომლის გასწორებითაც მთელ ქალაქს ვნება ეძლეოდა, მაშინ კი გაფაციცდებოდა. Აი მაგალითი:

Მოსე Ტერ-სტეფანოვმა შეჭამა ქალაქის ფული; სულ დაედო ათას ორასი თუმანი. Ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, გუბერნატორმა დაამტკიცა, რომ ეს ვალი გარდახდეს. 10 მაისს იყო იმ ვალში Ტერ-სტეფანოვის მამულის გაყიდვა დანიშნული.

Ტერ-სტეფანოვის მომხრეებმა, რომელთაც ეკუთვნის ბატ. Ამიროვი უგდეს ერთი ხრიკი, მაგრამ მალე შეუტყვეს: Თავმა საჩქაროდ შეკრიბა ხმოსანები, რომ Ტერ-სტეფანოვს ვალი აპატიონ, ან შეღავათი მისცენ. Მოვიდნენ მომხრე ხმოსანები, აღარ მოვიდა წინააღმდეგი პარტია; კრება აღარ მოხდა: ხრიკი დაეშალათ. Მაგრამ Ტერ-სტეფანოვმა თავისი გაიტანა; გასყიდვა გადასდო უმაღლესმა მთავრობამაო. Ტერ-სტეფანოვისთვინ ღმერთს ერთი სული მიუცია და ვერას-გზით ველარ გამოურთმევია და ქალაქი როგორ გამოართმევს?.. Აგერ რამდენი ხანია პოლიცია დასდევს, რომ გარდაახდევინოს სწავლის გადასახადი ფული, რომელიც მის ქალს დასდებია რომელიღაც საქალებო სასწავლებელში Ტფილისში,—ეს ვერ გადაუხდევინებიათ, ისეთს ხრიკებს უდებს, და ქალაქის სამმართველო კიდევ ხელს უმართავს. Იმ საცოდავი ხალხისთვინ მოემართნა ხელი, რომელიც Ლიახვმა წაიღო და გულგრილად უცქეროდნენ. Ფულს აძლევდნენ მუშა მოგვაშველეთ და ურემიო, მაგრამ უჯიბრეს და არ უშველეს. Ამ სიავაზაკეს სახალხოთ ჰყვიროდნენ, რა ჩვენი ვალიაო; ვალების პატიება ხომ თქვენი საქმეა: გეთაყვა, ნუ დაიშლით, აპატიეთ, ძრიელ ღარიბია Ტერ-სტეფანოვი!

Ჭეშმარიტად, რომ იტყვიან: **სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო**, სწორედ ეგ საცოდავი გორი ყოფილა. Ერთ დღეს რომ დაიქცეს, დაიწვას მთელი ქალაქი, ხმას არ ამოიღებენ ქალაქის ეხლანდელი პატრონები, ოღონდ კი ისინი თავიანთი ნათესავებით კარგათ იყვნენ.

Აი რას გვიკეთებენ ეხლანდელი ქალაქის პატრონები, რომლების თაიგულს შეადგენს ბატ. Ამიროვი.......

Აი ამისთანა კაცი უნდათ თავად გორელებს! Რათა? Იმათა, რომ მდიდარია; რომ შემძლე ნათესავები ჰყავს, რომ... და სხვ.

Ღმერთო! Შარესიდგან დაგვიხსენ.

წაკალა.

15 მაისი, ქართლი.

## განცხადებანი

ჩაი! ჩაი! ჩაი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა, უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?— არწრუნის ქარვასლაში.

(20—1)

## ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა გამოიწვევს მსურველთ ქალაქის ფარნების იჯარით განათებისას; სულ 1,400 ფარანი უნდა გინათოს კერაინით ამ ივლისის თვის 4-დამ სამის წლის ვადით ვიდრე 1883 წლის 4 ივლისამდინ.

ვაჭრობა დაიწყება ამ იჯარისა იქნება მაისის 27-ს ქალაქის გამგეობის თანა-დასწრებით.

ვისაც ამ იჯარის აღებაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, დაწვრილებით პირობების (კანდიციების) ნახვა შეუძლიანთ გამგეობის უპრავის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღე გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშვადღევის 2 საათამდინ.

ვაჭრობა, პირადათ შეიძლება და შეიძლება აგრეთვე, დაბეჭდილი კონვერტითაც გამოგზავნა პირობებისა.

(6—6)

ისყიდება

რქიანი საქონელი

14 ძროხა, 1 კამბეჩი, 5 ხარი და 13 ხბო.

ფასის შეტყობა შეიძლება სამხედრო ოლქის სასამართლოს იქით, არტილერიის ქუჩაზე, სტანიშევსკის სახლში, № 23, ჰკითხეთ მზარეულს სოლომანს.

(3—1)

კვირაცხოვლისა და შემდეგის კვირის განმავალობაში

## ინგლისის მაღაზიაში

20% უფრო იაფად

გაისყიდება სხვა-და-სხვა ინგლისის საქონელი.

(10—4)


# თფილისის სააღგილ-მამულო ბანკისაგან

(დასასრული *)

თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკი უზენაესად დამტკიცებულის თავის წესდების § 16 ძალით აცხადებს, რომ 11 ივნისს 1880 წელს 12 საათზე თფილისში, ბანკის სადგომში სოლოლაკის ქუჩაზე ნ. ქორღანოვის სახლში № 3, მოხდება საზოგადო გასყიდვა განუმეორებლად ქვემო მოხსენებული პირების მამულებისა, რომელთაც არ შემოუტანიათ თავის დროზე ხვედრი გადასახადი ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 დადგენილი.

ხოლოყაშვილი ილია ზაალის ძე. სახნავი მიწა და ტყე სიგძით 3042 დესიატინა თფილისის გუბერნიაში სიღნაღის მაზრაში სოფ. ჩიაური. თავნი ვალი 39,426 მან. 81 კაპ. გადასახდელი-ფული 1,660 მან. სულ (41,086 მან. 81 კ.) ორმოცდა ერთი ათას რვაას ექვსი მან. 81 კაპ.

დოდაევისა, თამარა ალექსანდრეს ასული. საძოვარი მიწა და ტყე სიგრძით 1,020 დესიატინა 1,920 ოთხ-კუთხი საჟ. თბილისის გუბერნიაში თელავის მაზრაში სოფ. ზემოხოდაშენში. თავნი ვალი 8673 მ. 86 კ. გარდასახდელი ფული 440 მან. 40 კაპ. სულ ცხრა ათას ასს თოთხმეტი მან. 26 კაპ.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე. სახნავი მიწა სიგრძით 148 დესიატ. 1860 ოთხ-კუთხი საჟ. თბილისის გუბერნიაში და მაზრაში სოფ. ოქროყანაში, თავნი ვალი 5,421 მან. 11 კაპ. გადასახდელი ფული 273 მან. 20 კაპ. სულ ხუთი ათას ექვს ას ოთხმოცდა თოთხმეტი მან. 31 კაპ.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე. სახნავ-სათესი და საბალახო მიწები 800 დესიატ. თბილისის გუბერნიაში თიანეთის მაზრაში სოფ. ბოჩარმაში. თავნი ვალი 4,739 მან. 17 კაპ. გადასახდელი 214 მან. 16 კაპ. სულ ოთხი ათას ცხრაას ორმოც-და-ცამეტი მან. 33 კაპ.

გაბაშვილი, ანდრია მიხეილის-ძე. სახნავი და საძოვარი მიწები 106 დესიატ. 220 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე სოფ. ერთისში. თავნი ვალი 4,936 მან. 50 კაპ. გადასახდელი 329 მან. 98 კაპ. სულ ხუთი ათას ორასი სამოც-და-ექვსი მან. 48 კაპ.

გაბაშვილები, იოსებ და ივანე იაკობის-ძენი. სახნავი საძოვარი და საბალახე მიწები სიგრძით 309 დეს. 1,856 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე სოფ. თხინვალში. თავნი ვალი 2,961 მან. 89 კაპ. გადასახდელი ფული 140 მან. 21 კაპ. სულ სამი ათას ასს ორი მან. 10 კაპ.

შალიკოვი, იოსებ ივანეს-ძე. სახნავი მიწა და ტყე 270 დეს. თფილისის გუბერნიაში სიღნაღის მაზრაში სოფ. მურჯაანში. თავნი ვალი 4,936 მან. 49 კაპ. გადასახდელი ფული 377 მან. 90 კაპ. სულ ხუთი ათას სამას თოთხმეტი მან. 39 კაპ.

ამილახვარი, ივანე თეიმურაზის-ძე. სახნავი მიწა 151 დეს. 1,756 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის გუბერნიაში გორის მაზრაში სოფ. ნაწრეტში. თავნი ვალი 3,455 მან. 49 კაპ. გადასახდელი 160 მან. 79 კაპ. სულ სამი ათას ხუთას თექვსმეტი მან. 28 კაპ.

ციციშვილი, დავით ივანეს-ძე. სახნავი და საძოვარი მიწა 87 დეს. 900 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიაში გორის მაზრაში სოფ. ქვემო ნიჩბისში. თავნი ვალი 3,961 მან. 69 კაპ. გადასახდელი 181 მან. 30 კაპ. სულ ოთხი ათას ას ორმოც-და-ორი მან. 99 კაპ.

ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზ თადეოზის-ძე. სახნავი, საძოვარი და სათიბი მიწები და ტყე 5,774 დეს. 775 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე სოფ. ქარდანახში. თავნი ვალი 59,425 მან. 24 კაპ. გადასახდელი 5,093 მან 84 კაპ. სულ სამოც-და-ოთხი ათას ხუთას ცხრამეტი მან. და 8 კაპ.

შაბუროვისა, მარიამ დავითის ასული. სახნავი მიწა 12 დეს. 2,320 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიაში დუშეთის მაზრაში სოფ. საშაბუროში. თავნი ვალი 792 მან. 33 კაპ. გარდასახდელი ფული 29 მან. 35 კაპ. სულ რვაას ოც-და-ერთი მანეთი და 68 კაპ.

ბარათაშვილები, იოსებ, გიორგი, დავით, მარიამ და ბარბარე ივანეს-ძენი. სახნავი და საბალახო მიწები 536 დეს. 1,920 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე, სოფ. ძამარლოში. თავნი ვალი 5,942 მან. 60 კაპ. გადასახდელი ფული 263 მან. 48 კაპ. სულ ექვსი ათას ორას ექვსი მან. და 8 კაპ.

თარხან-მოურავისა, მარია ბიძინას ასული. სახნავი და სათიბი ადგილები და ტყე 545 დეს. 1,645 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიაში გორის მაზრაში სოფ. სათუხარლოში. თავნი ვალი 6,625 მან. 79 კაპ. გადასახდელი ფული 292 მან. 23 კაპ. სულ ექვსი ათას ცხრაას ოც-და-რვა მანეთი 2 კაპ.

ამილახვარი, ამირან ამირინდოს-ძე. სახნავი და სათიბი ადგილები ზომით 145 დეს. 1,756 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში სოფ. ნაწრეტში. თავნი ვალი 2,971 მან. 26 კ. გადასახდელი 140 მ. 21 კ. სულ სამი ათას ას თერთმეტი მანეთი 47 კ.

ანდრონიკაშვილი, ზაქარია იესეს-ძე. სახნავი ადგილები ზომით 4,765 დეს. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე სოფ. ლემბალოში. თავნი ვალი 59,425 მ. 32 კ. გადასახდელი 2,582 მ. 26 კ. სულ სამოც-და-ორი ათას შვიდი მან. და 58 კ.

მაღალაშვილისა, ნინო სარდიონის ასული. ვენახი ზომით 6 დესეტინა ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში სოფ. ბაკურციხეში. თავნი ვალი 2,000 მან. გადასახდელი 89 მან. 8 კ. სულ ორი ათას ოთხმოც-და-ცხრა მანეთი და რვა კაპ.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე. ცარიელი ადგილი ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟ. 2 განყოფილების 11 ნაწილში ქ. ტფილისისა. თავნი ვალი 1,200 მ. გადასახდელი 67 მ. 88 კაპ. სულ 1,267 მ. 88 კაპ.

ამატუნი, ნაპოლეონ ივანეს ძე. ვენახი, ზომით 2 დესეტინა 90 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. კარდახანში. თავნი ვალი 2,000 მ., გადასახდელი 70 მან. სულ 2,070 მან.

გაყიდვა წესდების § 19 თანახმად ზემო აღნიშნულთ ვალების ჯამიდამ დაიწყება და მათ თან-დაერთვიან სახელმწიფო და ფოჩტის ხარჯის გადასახდელნი (ნედოიმკები). ბანკის თავნი ვალი შეიძლება გადაიხადოს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან მათი ნომინალური ფასით მანეთი მანეთზე, აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით გადატანილ იქმნენ მყიდველებზე; ვადაზე შემოსატანი და სხვა გვარი გადასახდელები კი ნაღდი ფულით უნდა იქმნენ გადახდილნი.

11 ივნისს ამ 1880 წ. დანიშნული გაყიდვა თუ ხეირიანად ვერ მოხდა წესდების § 22 ძალით დაინიშნება მეორე და უკანასკნელი გაყიდვა 26 ივნისისათვის ამა წლისავე.

(3—3)

*) „დროება“ №№ 102, 103 და 104.

Дозволено цензурою. Тифлисъ 22 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი